სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

17 ივლისი-17 აგვისტო 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC-მ განაახლა მედია მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში. მონიტორინგი გაგრძელდება 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე და მოიცავს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე და შემდეგ კერძო არხებზე: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია და მეცხრე არხი. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით.

მონიტორინგის ამ პერიოდში ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში არხებმა მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით დაიწყეს საპრეზიდენტო კანდიდატების უფრო ხშირი გაშუქება. თუმცა, ამ ეტაპზე მათთვის განკუთვნილი დრო ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა სხვა ძირითად სუბიექტებისთვის დათმობილ დროსთან შედარებით.
- ამ მხრივ სიტუაცია განსხვავდებოდა აჭარის ტელევიზიაზე, სადაც საპრეზიდენტო კანდიდატები და მათი აქტივობები ნაკლებად შუქდებოდა. მაგალითად, თითქმის არ გაშუქებულა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი, ისევე როგორც, გიორგი მარგველაშვილის კამპანია. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მხოლოდ 2 სუბიექტი გაშუდა თუმცა, საკმაოდ მცირე დროით: გიორგი თარგამაძე - 3 წუთი და ნინო ბურჯანაძე - 2 წუთი.
- ამ პერიოდში ყველა არხზე მეტნაკლებად იმატა კონკრეტული სუბიექტების მიმართ დადებითი ტონის წილმა. ეს გარკვეულიწლად უკავშირდება სხვადასხვა სუბიექტების ვრცელი გამოსვლებისა და განცხადებების გაშუქებას, რაც

მონიტორინგის ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა და ამბებმა, მათ შორის საპრეზიდენტო კანდიდატების, მათი აქტივობებისა და გამოსვლების გაშუქებამ გამოიწვია.

- თითქმის ყველა არხზე შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ საინფორმაციო გამოშვების დასაწყისში წარმოდგენილი იყო უფრო მეტად ვრცელი, ინფორმაციული და ანალიტიკური სიუჟეტები, რომლებიც რამდენიმე წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით იყო გამყარებული. გადაცემის მეორე ნაწილში მოცემული იყო მოკლე სიუჟეტები, სადაც წარმოდგენილი წყაროების ბალანსიც არ იყო დაცული და ხშირად გადმოცემული ინფორმაციაც არ იყო ამომწურავი.
- მონიტორინგის ამ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა არხები რომელიმე ახალ ამბავს არ აშუქებდნენ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, ან აშუქებდნენ გამოშვების მეორე ნაწილში, საკმაოდ მოკლედ და გაუგებრად.

17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს ქვეყანაში რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა, რაც აქტიურად გაშუქდა ყველა არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში. ასეთები იყო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლების საქმე, დავით ბაქრაძის გამარჯვება პრაიმერში, ბაჩო ახალაიას სასამართლო, პარტიების დაფინანსების საკითხი, პატიმრების შიმშილობა საქმეების გადახედვის მოთხოვნით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, 2008 წლის აგვისტოს ომის 5 წლისთავი, ცესკოს თავმჯდომარის გადადგომა, კობა დავითაშვილის წასვლა კოალიციიდან, პრეზიდენტისა და პრემიერ მინიტრის სტუმრობა ამერიკულ ხომალდზე ბათუმში, დენსუსის დასკვნა 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის შესახებ და ა.შ.

ასევე, აგვისტოში დაიწყო საპრეზიდენტო კანდიდატების და მათი კამპანიების აქტიური გაშუქება. თუმცა, ჯერ-ჯერობით ამას სუბიექტებისთვის დათმობილი დროის გადანაწილებაში ცვლილებები არ გამოუწვევია არცერთ არხზე. აღნიშნული თემების განხილვისას ყველა არხზე გამოიკვეთა 3 ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებაში განსხვავებული მიმდევრობით დაეთმო დრო. ესენია: მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ხუთეულში ყველგან

არიან პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. გამონაკლისია, ამ შემთხვევაში, აჭარის ტელევიზია, სადაც დათმობილი დროის მიხედვით მეორე ადგილას აჭარის მთავრობა მოხვდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს პირველ ნახევარში სიუჟეტები ძირითადად ფაქტებზე დაყრდნობით იყო აგებული, წარმოდგენილი იყო ფაქტის წინაპირობა ან ქრონოლოგია. თუმცა, იგრძნობოდა, რომ სიუჟეტის ავტორები ცდილობდნენ შეფასებითი კომენტარებისგან თავი შეეკავებინათ. შესაბამისად, ნაკლებად იგრძნობოდა პოლიტიკური მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ. პოლიტიზირება არ შეინიშნებოდა აგრეთვე სოციალური თემების გაშუქებისას, არ ხდებოდა ამ თემების დაკავშირება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

პირველ არხზე გახშირდა საპრეზიდენტო კანდიდატების კამპანიის გაშუქება, კანდიდატების ვიზიტები რეგიონებში და სხვადასხვა აქტივობები. როგორც წესი, კანდიდატების კამპანია ცალკე სიუჟეტად შუქდება, ზოგჯერ რამდენიმე კანდიდატის აქტივობა ერთად. თუმცა, საინტერესოა 3 აგვისტოს სიუჟეტი თუშეთობის შესახებ, სადაც მთის ტრადიციული დღესასწაულის თითქოს არაპოლიტიკურად გაშუქებისას, რომელიც საკმაოდ პოზიტიური ტონით, მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა, სიუჟეტის მეორე ნახევარში ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გამოჩნდა და დადებითადაც წარმოჩინდა.

პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქების ტონი პირველ არხზე საკმაოდ დადებითია ძირითადი კანდიდატების მიმართ. ბაქრაძისა და მარგველაშვილისთვის დათმობილი დროის თითქმის ნახევარი დადებითადაა გაშუქებული. სხვა მთავარი სუბიექტების მიმართაც, როგორებიცაა მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი გამოვლინდა დადებითი გაშუქების შედარებით მაღალი მაჩვენებელი 19-26 პროცენტი. გარკვეულწილად

ეს განაპირობა აგვისტოს დასაწყისში ომის თემასთან დაკავშირებულმა აქტივობებმა და სიუჟეტებმა. კრიტიკა და უარყოფითი გაშუქება ნაკლებად შეინიშნება.



აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიაზე უმეტესად ადგილობრივი ამბები შუქდებოდა. ამასთან, საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოციალურ საკითხებს. ძალიან ხშირად შუქდებოდა ისეთი სოციალური საკითხები როგორებიცაა გზების პრობლემები, მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები და სხვა. ამ პერიოდში ხშირად ტურიზმთან დაკავშირებით კეთდებოდა სიუჟეტები. განიხილებოდა ამ საკითხთან დაკავშირებული სახვადასხვა პრობლემები. ასეთი ტიპის სიუჟეტები უმეტესად ვრცელი, ანალიტიკური და სხვადასხვა მოსაზრებების მხრივ დაბალნსებული იყო.

აჭარის ტელევიზიაზე 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ადგილობრივ ამბებთან ერთად ქვეყნის მასშტაბით მომხდარი საკმაოდ ბევრი ახალი ამბავი თუ მოვლენა

გაშუქდა. 2008 წლის 8 აგვისტოს ომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, კობა დავითაშვილის მიერ კოალიცია ქართული ოცნების დატოვება, ცესკოს თავმჯდომარის გადადგომა და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ნაკლებად შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები. თითქმის არ გაშუქებულა არც ერთი კანდიდატის კამპანია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი. რაც შეეხება ამ არხზე სუბიექტების ტონს, აღსანიშნავია, რომ დადებითი ტონის წილი უფრო ჭარბობს ვიდრე უარყოფითი ტონი.



კერძო ტელევიზიები

17 ივლისი - 17 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებებში წინასაარჩევნო დაძაბულობა ჯერ ისევ არ შეინიშნებოდა. თუმცა, იმატა საპრეზიდენტო კანდიდატების, მათი გამოსვლებისა და კამპანიების გაშუქებამ. შესაბამისად ამ პერიოდში იმატა დადებითი ტონით გაშუქების წილმა.

რუსთავი 2

რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ანგარიშის მოცემულ პერიოდში უფრო ხშირად შეინიშნებოდა ინფორმაციული და დაბალანსებული სიუჟეტები, ვიდრე წინა პერიოდში. თუმცა, ამასთან ერთად, კვლავაც შესამჩნევი იყო პრეზიდენტის მიმართ განსაკუთრებით დადებითი დამოკიდებულება, მისი ვიზიტებისა და გამოსვლების დიდი ქრონომეტრაჟით გაშუქება, თანაც დადებით კონტექსტში. ამის პარალელურად გამოიკვეთა კრიტიკული მიდგომა მთავრობის მიმართ, პრემიერ-მინისტრისა და კოალიციის წევრების მიმართ არასათანადო და ზოგჯერ ირონიული გაშუქებაც კი.

კურიერის 9-საათიან გამოშვებაში დღეგამოშვებით პრეზიდენტობის კანდიდატები იყვნენ მიწვეულნი, სადაც ისინი ჟურნალისტის კითხვებს 15-20 წუთის განმავლობაში პასუხობდნენ. ჟურნალისტი ბოლომდე აცდიდა ყველა სტუმარს აზრის გამოხატვას. საინტერესოა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის დავით ბაქრაძის სტუმრობა. განსხვავებით სხვა კანდიდატებისგან, ინტერვიუს წინ უძღოდა დიდი სიუჟეტი მისი პოლიტიკური გზისა და მოღვაწეობის შესახებ. სიუჟეტი არ იყო ძალიან დადებითად გაკეთებული, თუმცა კეთილგანწყობა შეიმჩნეოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატების პირდაპირი საუბრის დიდი წილი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა მათზე. ეს რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა. სხვა სუბიექტებიდან პრეზიდენტს ჰქონდა დადებითი გაშუქების ყველაზე დიდი წილი. უარყოფითი გაშუქების სიმრავლე რუსთავი 2-ზე არ შეიმჩნეოდა. თუმცა, იმ სუბიექტებიდან, ვისაც შედარებით მეტი დრო დაეთმო, პრემიერ-მინისტრს ჰქონდა უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 15 პროცენტი.



იმედი

იმედზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში შეინიშნებოდა ცვლილება. ივლისის მეორე ნახევარში გვხვდებოდა ბევრი მოკლე, მშრალი და მოსაზრებების მრავალფეროვნების მხრივ დაუბალანსებელი სიუჟეტი, რომელიც გადმოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ბევრ კითხვას პასუხს არ სცემდა. მაგრამ აგვისტოდან უფრო მეტი ინფორმაციული, რამდენიმე წყაროზე დაფუძნებული სიუჟეტი გამოჩნდა, განსაკუთრებით გამოშვების დასაწყისში. პოლიტიკური მიკერძოებულობის მხრივაც, ივლისის ბოლოს უფრო მეტად შეინიშნებოდა ირონიული დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა და თბილისის მერის მიმართ. თუმცა, აგვისტოში ომის თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში, სადაც მთავრობის, პრეზიდენტისა და სხვა პოლიტიკური ფიგურების გამოსვლები და აქტივობები გაშუქდა, არ შეიმჩნეოდა მიკერძოება. მიუხედავად ამისა, აგვისტოშიც იყო სიუჟეტები, რომლებიც ინფორმაციულად ამომწურავი და დაბალანსებული არ იყო.

საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები აქტიურად შუქდებოდა. კანდიდატებს სიუჟეტებში კომენტარის გაკეთების საშუალება ჰქონდათ და ძირითადი კანდიდატების

გაშუქების ტონი საკმაოდ ხშირად დადებითი იყო. რაც შეეხება კრიტიკასა და უარყოფით გაშუქებას, პრეზიდენტსა და ნაციონალურ მოძრაობას შედარებით მეტი უარყოფითი გაშუქების წილი დაუფიქსირდათ - 18 და 17 პროცენტი.



მაესტრო

მაესტროზე 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ახალი ამბები ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდა. სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული, მიუკერძოებელი და ანალიტიკური იყო. ჟურნალისტების მხრიდან არ შეიმჩნეოდა სპეციალურად გაკეთებული უარყოფითი ან დადებითი აქცენტები კონკრეტულ სუბიექტებთან მიმართებაში. აგვისტოში მაესტროზე ბევრი სიუჟეტი მომზადდა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ. საერთო ჯამში სიუჟეტები საკმაოდ დაბალანსებული იყო და არ იყო აქცენტი გაკეთებული პრეზიდენტის ან ყოფილი ხელისუფლების წარმომდგენლების

დადანაშაულებაზე. აგვისტოს ომის შესახებ სიუჟეტებში უფრო მეტად რუსეთზე იყო საუბარი უარყოფითად, ვიდრე ქართულ მხარეზე ან რომელიმე ქართველ პოლიტიკოსზე.

ამ პერიოდის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტებში არ იყო დაცული რესპონდენტთა ბალანსი ან ამბავი არ იყო ამომწურავად გადმოცემული და რჩებოდა კითხვები. 17 ივლისს, ერთ-ერთი ასეთი სიუჟეტის გასვლის შემდეგ, მეორე დღეს ჟურნალისტმა ბოდიში მოუხადა მაყურებელს და იმ მხარის პოზიცია, რომელიც წინა დღეს არ აჩვენეს, თვითონ წარმოადგინა.

იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი დღის მთავარი თემა საკმაოდ მშრალად, მოკლედ და გაუგებრად იყო გაშუქებული. ასეთი იყო, მაგალითად, 11 აგვისტოს ბათუმში ამერიკულ სამხედრო ხომალდზე გამართულ მიღებაზე პრემიერისა და პრეზიდენტის სტუმრობა, რომელიც გამოშვებაში მეორე სიუჟეტად გავიდა. როგორც ჟურნალისტმა წინასწარ თქვა, სიუჟეტში სამხედრო ხომალდზე გამართული მიღების დეტალები უნდა განხილულიყო. თუმცა, სიუჟეტი ძალიან მოკლე იყო. არ იყო ნაჩვენები პრემიერისა და პრეზიდენტის შეხვედრის კადრები, არც მათი ოფიციალური გამოსვლები. ნაჩვენები იყო მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარი, სადაც ის ამბობს, რომ პრეზიდენტის გამო თავად მოუხდა ბოდიშის მოხდა მასპინძლებისთვის. თუმცა, სიუჟეტში არ ჩანდა და არც ჟურნალისტს განუმარტავს რაზე იყო საუბარი, გაუგებარი რჩებოდა რისთვის აკრიტიკებდა პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტს. შესაბამისად, სიუჟეტი გაუგებარი და ზედაპირული გამოვიდა.

რაც შეეხება გაშუქების ტონს, მაესტროზე ერთი და იგივე სუბიექტები როგორც დადებითად, ისე უარყოფითად შუქდებოდნენ. გავიდა სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტი საკმაოდ უარყოფითად წარმოჩინდა და ასევე, იყო სიუჟეტები, სადაც მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ დადებითად გაშუქდა. მსგავსი შემთხვევები იყო პრემიერ-მინისტრზეც. მთავარი გამოშვების მეორე ნაწილში შუქდებოდნენ საპრეზიდენტო კანდიდატები და მათი აქტივობები, რის გამოც მათ დადებითი ტონის დიდი წილი დაუფიქსირდათ.



კავკასია

საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ახალი ამბები ძირითადად დაბალანსებულად და ნეიტრალურად შუქდებოდა. თითქმის ყველა სიუჟეტში რესპონდენტთა ბალანსი დაცული იყო და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მოსაზრებები და პოზიცია განხილული საკითხის გარშემო. სიუჟეტებში ხშირად იყვნენ რესპონდენტებად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სხავდასხვა სფეროს ექსპერტები. იყო რიგი სიუჟეტებისა, რომლებშიც ინფორმაცია ამომწურავად და სრულად იყო გადმოცემული ისე, რომ დასრულების შემდეგ კითხვები აღარ რჩებოდა. თუმცა, იყო ისეთი სიუჟეტები, რომლებშიც რესპონდენტთა ბალანსი არ იყო დაცული და ამბავი მხოლოდ ერთი მხრიდან იყო გაშუქებული. ასეთი იყო, მაგალითად პრეზიდენტის ინტერვიუ, რომელიც კრიტიკულად გაშუქდა სხვა პოლიტიკოსების კომენტარების ხარჯზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კომენტარი კი არ ყოფილა.

თუმცა, მიუხედავად ამისა, კავკასიაზე გასულ სიუჟეტებში ხშირი იყო ანალიტიკის ნაკლებობა. ჟურნალისტები მხოლოდ ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ და მომხდარის ანალიზს არ აკეთებდნენ. აღსანიშნავია, რომ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვების პირველ ნაწილში გასული სიუჟეტები უფრო ვრცელი იყო და მეტი რესპონდენტებით გამოირჩეოდა, ვიდრე გადაცემის მეორე ნაწილში გასული სიუჟეტები. რესპონდენტებისა და მოსაზრებათა სიმრავლე კი ანალიტიკის ნაკლებობას ვერ აბათილებდა.

კავკასიაზე სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად შუქდებოდნენ. 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში მათ მიმართ დაფიქსირებული უარყოფითი და დადებითი ტონის წილი რესპონდენტების კომენტარებიდან გამომდინარეობდა.



კავკასიაზე ძალიან ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები, ჟურნალისტის ან რესპონდენტის ხმა წყდებოდა, არაფერი ჩანდა და მხოლოდ ხმა ისმოდა, მონტაჟის დროს დაშვებული ხარვეზები და ა.შ. ამასთან, რესპონდენტების სახელი და გვარი თითქმის არასოდეს იწერება და ხშირად ეს მაყურებელში გაუგებრობას იწვევს.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა ყველა მნიშვნელოვანი ამბავი და მოვლენა, რაც ქვეყანაში მოხდა. სიუჟეტები ხშირად ანალიტიკური იყო და ინფორმაციას ამომწურავად აწვდიდა მაყურებელს, თუმცა ანალიტიკა უმეტესად ტენდენციური იყო.

ამ პერიოდში ძირითად ტენდენციად შეიძლება დასახელდეს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წარმომადგენლების ძირითადად დადებითი და პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის წევრების უარყოფითი გაშუქება. საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში თვალშისაცემი იყო ჟურნალისტების მხრიდან მცდელობა არ გაეკრიტიკებინათ მთავრობა და მისი წევრები უმეტესად დადებით კონტექსტში განეხილათ - სიუჟეტში განხილული ფაქტის მიუხედავად. ამასთან, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები თითქმის ყოველთვის საკმაოდ უარყოფით კონტექსტში წარმოჩინდებოდნენ. განსაკუთრებით უარყოფითად გაშუქდა პრეზიდენტი 2008 წლის აგვისტოს ომისადმი მიძღვნილ სიუჟეტებში. ხშირად, ეს ჟურნალისტების ტექსტიდან გამომდინარეობდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტში მთლიანი კონტექსტი რესპონდენტების მიერ იყო შექმნილი, რადგან წარმოდგენილი იყო მხოლოდ საერთო აზრის მქონე რესონდენტები და მაყურებელს არ ჰქონდა საშუალება მოესმინა განსხვავებული მოსაზრება. ეს ტენდენცია ტონის ამსახველ დიაგრამაშიც კარგად ჩანს.



მეცხრე არხზე შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატები და მათი აქტივობები. თუმცა, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო გიორგი მარგველაშვილს დაეთმო (15 წუთი) და ამ დროის 65% დადებითად გაშუქდა. დანარჩენ კანდიდატებს 4 წუთი და ნაკლები დრო დაეთმოთ.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ეხება სიუჟეტების რიგითობას. ხშირად, გამოშვების პირველ ნომრებად არ გადიოდა იმ დღეს ქვეყანაში მომხდარი მთავარი ამბები, რაც სხვა ყველა არხზე ხვდებოდა პირველ სიუჟეტებად. გადაცემის დასაწყისში უფრო მეორეხარისხოვანი ან სულაც საზღვარგარეთის ამბები შუქდებოდა.

დასკვნა

17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის შედეგებით შეიძლება, ითქვას, რომ ტელევიზიები ჯერ აქტიურ საარჩევნო რეჟიმზე არ გადასულან, თუმცა დაიწყეს საპრეზიდენტო კანდიდატების და მათი კამპანიების გაშუქება. ყველა არხზე თითქმის ყოველ დღე შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატებთად დაკავშირებული ახალი ამბები. ამ მხრივ, გამონაკლისი იყო აჭარის ტელევიზია, სადაც კანდიდატებს დრო ნაკლებად ეთმობოდათ და თითქმის არ შქუდებოდა მათთან დაკავშირებული ამბები.

მონიტორინგის ქვეშ მყოფი სატელევიზიო არხები თავის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა არხები თავისი საინფორმაციო პოლიტიკის შესაბამისად ზოგიერთ ამბავს სხვადასხვა კუთხით და შინაარსით აშუქებდნენ. ასე იყო, მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის 5 წლისთავისადმი მიძღვნილი სიუჟეტები. მონიტორინგის ამ პერიოდში საკმაოდ დიდი დრო დაეთმო ამ თემას ყველა არხზე. არხების ზოგადი ტენდენციის მსგავსად სხვადასხვა არხებზე ამ თემის განხილვისას კონკრეტული სუბიექტები განსხვავებულად გაშუქდნენ, რაც მათ მიმართ დაფიქსირებულ დადებით და უარყოფით ტონის წილებში გამოვლინდა. ზოგიერთ არხზე პრეზიდენტისა და ყოფილი ხელისუფლების უარყოფით როლზე კეთდებოდა აქცენტი, ზოგან ამ დღეს დაგემილი ღონისძიებები შუქდებოდა აქტიურად და აქცენტი პოლიტიკოსების ახლანდელ გამოსვლებზე კეთდებოდა. განსაკუთრებით უარყოფითად გაშუქდა ამ პერიოდში პრეზიდენტი მეცხრე არხზე. მაესტროზე კი, 8 აგვისტოს ომის სიუჟეტები აგებული იყო რუსულ და ქართულ მხარეების როლზე და არც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ამ კონტექსტში უარყოფითად არ ყოფილა წარმოჩენილი.

საერთო ჯამში, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ჯერ ისევ მთავარი პოლიტიკური პარტიები, მთავრობა, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი რჩებიან. ამ პერიოდში იმატა სუბიექტების დადებითმა ტონმა, თითქმის ყევლა არხზე, რაც გარკვეულწილად გამოწვეული იყო მონიტორინგის პერიოდში გაშუქებული ამბებით. ხშირი იყო პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების და ასევე,

საპრეზიდენტო კანდიდატების პირდაპირი საუბრების ჩვენება, მათი გამოსვლები სხვადასხვა ღონისძიებებზე, რაც უმეტესად დადებითად წარმოაჩენდა მათ.